საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

15-07-4-202008211114

21/08/2020

N 15

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №15
2020 წლის 20 აგვისტო
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილების (ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016320) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მერის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1700 ლარის ოდენობით და ცხრილი „მერის მოადგილე“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მერის მოადგილე	1	1700	

ბ) „სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს“ დაემატოს „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“, რომლის შემადგენლობა განისაზღვროს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელით - განყოფილების უფროსი და მესამე რანგის პირველი კატეგორიის 4 ერთეული უფროსი სპეციალისტით. შესაბამისად, „პირველადი სტრუქტურული ერთეული- სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის“ ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	**10**		
სამსახურის უფროსი პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1700	
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	900	
მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება	**5**		
მეორე რანგი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	1200	
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	900	

გ) „ჯამი“ 84-ის ნაცვლად განისაზღვროს 89-ით:

ჯამი	89		1140600

დ) „სულ ჯამი“ 127-ის ნაცვლად განისაზღვროს 132-ით:

სულ ჯამი	132		527000

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 01 სექტემბრიდან.

ვლადიმერ ნანაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო